ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7306981

ნომერი: AR11068099

თარიღი : 28.11.2024

გაცემის თარიღი : 03.12.2024

გაცნობის თარიღი : 03.12.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გიორგაძე პ/ნ 01015012475
- თბილისი კრწანისის ქ. N 52-54

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენს მიერ დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :

მოთხოვნის შინაარსის ტექსტში განიმარტოს რას წარმოადგენს არსებული შენობა (მიეთითოს ფუნქციური დანიშნულება რეკონსტრუქციამდე და რეკონსტრუქციის შემდგომ). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მოთხოვნის ტექსტის გათვალისწინებით ვერ ხერხდება იმის გარკვევა სარეკონსტრუქციო N04/1 შენობაა თუ შენობაზე მიშენება , ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც , რომ საკადასტრო გეგმაზე N04/1 შენობა მართკუთხა ფორმისაა, ხოლო საპროექტო ნაწილი წარმოადგენს საკადასტრო გეგმის თავისუფალი სივრცის შევსებას (მიშენების სახით) ვერ ხერხდება ასევე აღნიშნული მიშენების კანონიერების დადგენა , ასევე ვერ ხერხდება მიშენებულ მცილობას აქვს თუ არა კავშირი N04/1 შენობასთან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია დამატებით შენობის შიდა სივრცის ინტერიერის ფოტოსურათი , რომელშიც ასახული იქნება დამაკავშირებელი ღიობი საპროექტო ფართსა და N04/1 შენობასთან. წარმოსადგენია აღნიშნული მიშენების რაიმე სამართლებრიობის დამდგენი დოკუმენტაცია (მისი არსებობის შემთხვევაში) და არსებული ანაზომი ნახაზები და საპროექტო (მათ შორის :ჭრილები და ფასადები).

იმ შემთხვევაში თუ მიშენება უნებართვოა ასეთ შემთხვევაში სამსახური ვერ იმსჯელებს მისი რეკონსტრუქციის განხორციელებასთან დაკავშირებით .

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.